ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 660

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.16.05.003.140) 8 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დეა ნარმანიასთვის (პირადი № 01010008769) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №31-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.003.140) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დეა ნარმანიასთვის (პ/ნ: 01010008769) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.1992.2247 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა, № 31-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.16.05.003.140), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი № 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 8 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით დეა ნარმანიასთვის (პ/ნ: 01010008769) გადაცემაზე, ღია კაფის მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე